

## გენდერული სტერეოტიპების ვერბალური გამოხატვა დისნეის ანიმაციურ ფილმებში

### Verbal Representation of Gender Stereotypes in Disney's Animated Films

*სალომე ზამბახიძე*

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*Salome Zambakhidze*

*Tbilisi State University*

#### Abstract

Gender, gender stereotypes, their underlying causes, and results have become relevant research subjects in the 21<sup>st</sup> century. Throughout centuries stereotypical attitudes towards women were being formed in society. At the beginning of the 20<sup>th</sup> century spreading stereotypical attitudes was facilitated by media and various films including Disney's animated movies (Towbin et al., 2004, p. 20), which will be discussed in the article.

The main objective of the research is the princess line in Disney's animated movies. Over time different researchers (England et al., 2011; Reilly, 2016) divided the development of princesses into different categories, and the influence of the animated movies on the formation of gender roles in children was discussed. Moreover, whether animated movies contributed or not to the development of gender stereotypes was examined.

In the given research gender stereotypes reflected in Disney's animated movies will be discussed. Furthermore, verbal characteristics that might reveal stereotypical attitudes will be analyzed.

**საკვანძო სიტყვები:** გენდერი, გენდერული სტერეოტიპები, დისნეი, ანიმაციური ფილმები

**Keywords:** Gender, Gender Stereotypes, Disney, Animated Films

## შესავალი

გენდერული სტერეოტიპების კვლევა ოცდამეერთე საუკუნეში აქტუალური საკითხია, საინტერესოა თუ რა ინვევდა და ინვევს ბავშვებში გენდერულ-სტერეოტიპული აზროვნების ჩამოყალიბებას და თუ რა სურათი გვაქვს, დღესდღეობით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

კვლევის მიზანია წარმოაჩინოს ენობრივი თავისებურებები, რომლებიც ვლინდება ვოლტ დისნეის ანიმაციურ ფილმებში და რომელთა მეშვეობითაც წარმოჩინდება გენდერული სტერეოტიპები.

**საკვლევი შეკითხვები** მოიცავს შემდეგ საკითხებს:

1. რა გენდერული სტერეოტიპები, ვლინდება დისნეის ანიმაციურ ფილმებში;
2. როგორ ვლინდება გენდერული სტერეოტიპები ლინგვისტურ დონეზე;
3. როგორ განვითარდა სხვადასხვა პრინციპის ხაზი დროთა განმავლობაში;
4. რა პროტაგონისტული პოზიტიური ცვლილებები შეინიშნება დისნეის ანიმაციურ ფილმებში.

კვლევის პროცესში გამოყენებული იქნება **თვისობრივი მეთოდი**. კვლევის პროცესში განხილულია თუ როგორ ვლინდება გენდერული სტერეოტიპები ენობრივ დონეზე დისნეის ორ ფილმში. დისნეის ანიმაციურ ფილმებში გენდერული სტერეოტიპების გამოვლინება სხვადასხვა მკვლევრის მიერ არის განხილული (Golden, & Jacoby, 2013, England et al., 2011; Reilly, 2016; Parsons, 2021), თუმცა ანიმაციების ლინგვისტური მიმოხილვა ნაკლებად გვხვდება. კერძოდ, კვლევაში გაანალიზებულია რა როლს ასრულებს კონტექსტი ფილმში; რამდენად ხშირად საუბრობს ესა თუ ის გმირი, აქვთ თუ არა მონოლოგები, დიალოგები და რისი მიმანიშნებელი შეიძლება იყოს აღნიშნული გენდერულ სტერეოტიპებთან მიმართებით; რა როლს ასრულებს დირექტიული მეტყველების აქტი და განამსახლკევებელი შეკითხვები; რამდენად ხშირად გვხვდება ზედსართავი სახელები. შესაბამისად, ნაშრომის **სიახლეს** განაპირობებს, შემდეგი ფაქტორები: კვლევაში განხილულია თუ როგორ ვლინდება ლინგვისტურად გენდერული სტერეოტიპები; სხვადასხვა პერსონაჟის განწყობა, ესა თუ ის ქმედება, რამდენად შეიძლება განსაზღვრავდეს სტერეოტიპულ დამოკიდებულებას.

## ლიტერატურის მიმოხილვა

### I. პრაგმატიკა

იულის მიხედვით (1996, გვ. 3), პრაგმატიკა შეისწავლის მნიშვნელობას, გამოთქმულს მოსაუბრის მიერ და მსმენელის მიერ აღქმულს. პრაგმატიკის კვლევის ობიექტს წარმოადგენს მოსაუბრის მიერ გამოთქმული აზრი, რაც თავისთავად მოიცავს რას გულისხმობს მოსაუბრე კონკრეტულ კონტექსტში და რა გავლენას ახდენს კონტექსტი წარმოთქმულ აზრზე. აღნიშნული ასევე იკვლევს რა გავლენას ახდენს მსმენელი ნათქვამზე.

ლიჩი (1983, გვ. 15) განმარტავს, რომ პრაგმატიკა შეისწავლის მნიშვნელობას მეტყველების მდგომარეობიდან (სიტუაციიდან) გამომდინარე.

მეტყველების დროს საინტერესოა არა მხოლოდ ცალკეული გამონათქვამის არსი, არამედ თუ რა სიტუაციაში იქნა გამოთქმული აზრი, რადგან კონტექსტი იძლევა ნათქვამის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას. საინტერესოა რა როლს ასრულებს კონტექსტი დისნეის ანიმაციურ ფილმებში, კონკრეტულ მდგომარეობაში როგორ შეიძლება იყოს აღქმული სამეტყველო აქტი.

## II. გენდერული სტერეოტიპები

როგორც დონაძე და კიკნაძე (2006, გვ. 5) აღნიშნავენ, *სქესს აქვს ბიოლოგიური (sex) და სოციალური (gender) კატეგორიები. ბიოლოგიური კატეგორია ადამიანის ბიოლოგიურ და ანატომიურ თავისებურებებს ითვალისწინებს, ხოლო სოციალური გენდერულ-სოციოკულტურულ ასპექტებს მოიცავს.*

ბასოუს (1992, გვ. 2) მიხედვით, ცნება სქესი და გენდერი განსხვავდება ერთმანეთისგან. სქესი ბიოლოგიური ცნებაა, რომლის მიხედვითაც განსხვავდება მამრობითი და მდედრობითი სქესი. განსხვავებით გენდერისგან, რომელიც ფსიქოლოგიური და კულტურული ცნებაა და ეყრდნობა ადამიანის სუბიექტურ გრძნობებს ქალურობასა და მამაკაცურობასთან დაკავშირებით.

დროთა განმავლობაში სოციუმებში ყალიბდებოდა განსხვავებული გენდერული სტერეოტიპები. ბასოუ (1992, გვ. 9) აყალიბებს მათი წარმომადგენლის ორ თეორიას. „კერნელის სიმართლის“ მიხედვით, ნამდვილად არსებობს განსხვავებული ქცევები განსხვავებული სქესის წარმომადგენლებს შორის, სტერეოტიპები კი უბრალოდ მათი გაზვიადებული ვარიანტია. „სოციალური როლის თეორიის“ მიხედვით კი სტერეოტიპები ქალსა და კაცს შორის არსებული განსხვავებული სოციალური როლებისგან წარმოიშვა.

თოთიბაძის (2020, გვ. 12) მიხედვით,

*გენდერული როლები პრეისტორიული პერიოდიდანვე გადანაწილდა, როდესაც მამაკაცს დაევალა ნადირობა და ქალის დაცვა, ქალს კი, ბიოლოგიური როლიდან გამომდინარე, სახლში დარჩენა და ბავშვების გამოკვება. ამის შედეგად, დროთა განმავლობაში, ქალის სოციალური ფუნქცია სახლთან ასოცირდება, ხოლო მამაკაცი - სოციალურ სფეროში*

*უფრო დომინანტური გახდა (...) გენდერული როლი აქცევს საზოგადოების ნევრებს იმ ჩარჩოებში, რომლებიც მიჩნეულია ამა თუ იმ კულტურის წარმომადგენლისთვის მისაღებ ქცევის ნორმად.*

დისნეის ანიმაციური ფილმებში ვხვდებით სხვადასხვა გენდერულ სტერეოტიპებს.

როგორც გოლდენი და ჯაკობი აღნიშნავენ (2017, გვ. 2), დისნეის პრინცესების უმრავლესობა ასახავს ბევრ ძველმოდურ ცნებას ფემინურობის შესახებ. მათ ჩაატარეს კვლევა დისნეის 16 ანიმაციურ ფილმზე 1937 წლიდან 1995 წლამდე, რის საფუძველზეც დგინდება, რომ ქალ პერსონაჟებს უფრო ხშირად უწევდათ სახლის საქმეების გაკეთება, ვიდრე მათ პარტნიორ მამაკაცებს, გარდა ამისა მამაკაცები ექვსჯერ უფრო ხშირად ფლობდნენ ძალაუფლებას, ვიდრე ქალები.

როგორც ინგლანდი და სხვები აღნიშნავენ (2011, გვ. 563), დისნეის ანიმაციურ ფილმებში ფართოდ არის გავრცელებული და მნიშვნელოვანი თემაა საოჯახო საქმეების კეთება. მაგილითისთვის განხილულია კონკია და ფიფქია და შვიდი ჯუჯა, სადაც კონკია ასრულებს საოჯახო საქმეებს, განსხვავებით მამაკაცებისგან, რომლებიც არასდროს არ გვხვდებიან ამ პოზიციაში. მსგავსი ვითარებაა ანიმაციურ ფილმში ფიფქია და შვიდი ჯუჯა, სადაც კაცები არ ასრულებენ საოჯახო საქმეს. როგორც თოთიბაძე (2020, გვ. 53) აღნიშნავს, *კონკიასა და ფიფქიას პერსონაჟებიდან გამომდინარე, ქალების როლები უფრო საოჯახო საქმესთან დაკავშირდა, რაც ბუნებრივია, ბავშვის გონებაში აირეკლა როგორც მდედრობითი სქესისათვის დამახასიათებელი სტერეოტიპი.*

როგორც ბასოუ (1992, გვ. 183) აღნიშნავს, ორივე სქესისთვის არსებობს სამი თვითკმაცოფილების ფაქტორი. ესენია წარმატებული სამსახური, ოჯახი და კომპეტენტურობა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კაცებისთვის მნიშვნელოვანია სამივე ფაქტორის რეალიზება თვითკმაცოფილების მიღწევისათვის, ხოლო ქალები კონცენტრირებულნი არიან ოჯახის კომპონენტზე. თუმცა, ის ასევე აღნიშნავს, რომ 1972 წლის შემდგომ ოჯახისა და კეთილდღეობის, ბედნიერების ურთიერთკავშირი საკმაოდ შემცირდა, განსაკუთრებით, დაოჯახებულ ქალებში. ამ დროისათვის კი კაცებისთვის ქორწინება უფრო მომგებიანია, ვიდრე ქალებისათვის. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ქალების მთავარ საზრუნავად არ შეიძლება ჩაითვალოს დაოჯახება და ეს მოსაზრება 21-ე საუკუნეში მხოლოდ სტერეოტიპია.

სტატიაში განვიხილავთ თუ როგორ ვლინდება ზემოთ აღნიშნული სტერეოტიპები ლინგვისტურ დონეზე, დისნეის ორ ანიმაციურ ფილმში.

### *III. ენა და გენდერი*

რობინ ლეიკოფის (1973, გვ. 45) მიხედვით, ქალების მეორეხარისხოვან როლს ორი ფაქტორი ასახავს, პირველი, თუ როგორ საუბარს მოელოიან ქალებისაგან, და

მეორე როგორ საუბრობენ ქალებზე. ქალის იდენტობა ლინგვისტურად დაქვეითებულია, ენა არ აღიქვამს ქალს, როგორც სერიოზულ პიროვნებას ინდივიდუალური ხედვებით.

ლეიკოფი (1973, გვ. 46) აღნიშნავს, რომ ქალების დისკრიმინაციის ორი სახე არსებობს. როგორ ასწავლიან მათ ენის გამოყენებას, და როგორ ეპყრობა მას ენის მომხმარებელი. ორივე შემთხვევაში, ენა ემსახურება ქალის ფუნქციის დაქვეითებას და ამტკიცებს მის მეორეხარისხოვან როლს საზოგადოებაში. თუმცა სარა მილსი (2003, გვ. 235) აღნიშნავს, რომ ძნელია ცალსახად ვამტკიცოთ, რომ ქალები და კაცები განსხვავებულად საუბრობენ, ან რომ ქალების ქცევა მიანიშნებს მათ სისუსტეზე. ზოგიერთი იყენებს ფემინურ სტრატეგიებს არა იმიტომ რომ გამოხატოს მორჩილება, არამედ იმსათვის, რომ სტრატეგიულად მიაღწიონ საკუთარ მიზნებს.

ლეიკოფის მიხედვით (1973, გვ. 51), უთანასწორობას გამოხატავს ქალის მიერ ენაში კონკრეტული ნაწილაკისა თუ ზედსართავი სახელების გამოყენება, რომელიც უმნიშვნელოა და ენაში არანაირ ფუნქციას არ ასრულებს. რაც შეეხება სინტაქსს, ლეიკოფი (1973, გვ. 53) განიხილავს განამსალკევებელი კითხვის გამოყენებას. განამსალკევებელი კითხვა გამოიყენება მაშინ, როდესაც მოლაპარაკე არ არის დარწმუნებული საკუთარ სიტყვებში. სტატისტიკურად არ დასტურდება, რომ მსგავსი შეკითხვის ტიპის გამოყენება ქალებში უფრო ხშირია ვიდრე კაცებში, თუმცა ლეიკოფი (1973, გვ. 55) ვარაუდობს, რომ მსგავსი შეკითხვის ფორმის გამოყენების ტენდენცია ქალებში უფრო მაღალია, ისევე, როგორც სპეციფიური ინტონაციის გამოყენება, რომელიც შეკითხვის ფორმას გამოხატავს. მსგავსი წინადადებების გამოყენება ენაში ხაზს უსვამს, რომ ქალი უფრო მეტად „ზრდილობიანი“ ვიდრე კაცი (Lakoff, 1973, p. 56).

ჰოლმისის მიხედვით (1995, გვ. 4), ტერმინი „ზრდილობა“ ასახავს ქცევას, რომელიც ფორმალურია. იყო ზრდილობიანი ნიშნავს გამოხატო პატივისცემა იმ პიროვნების მიმართ, რომელსაც ვესაუბრებით და თავიდან ავირიდოთ მათი წყენინება. ჰოლმისისათვის აღნიშნული ქცევის პოზიტიური ასპექტია. ეს უკანასკნელი თავის ნაშრომში ზრდილობას განიხილავს ლინგვისტურ დონეზე (1995, გვ. 5) და ამტკიცებს, რომ ქალები უფრო მეტად ზრდილობიანები არიან ვიდრე კაცები.

მეორე მხრივ სარა მილსი (2003, გვ. 203) ამტკიცებს, რომ ფემინურობა პირობითად ასოცირდება ქალთან, რაც გულისხმობს ზრდილობას, სისუსტეს, მოწყვლადობასა და მეგობრულობას. მილსის მიხედვით, გენდერისა და ზრდილობის ურთიერთობა განსხვავებულია. ეს უკანასკნელი ასევე ეწინააღმდეგება ჰოლმისის აზრს და ამტკიცებს, რომ მისი კვლევა არ ცხადყოფს, რომ ქალები უფრო ზრდილობიანები არიან ვიდრე კაცები. გადმოცემულ აზრს უამრავი სხვადასხვა

ინტერპრეტაცია შეიძლება მოვეუძებნოთ, შესაბამისად ცალსახად იმის თქმა, რომ ესა თუ ის მეტყველება გამოხატავს ზრდილობას, შეუძლებელია.

#### IV. პრინციპების ხაზი

ვინაიდან აღნიშნულ სტატიაში განხილული იქნება დისნეის პრინციპების ანიმაციური ხაზი (შერჩეულ იქნება ძველი და ახალი ანიმაცია), საინტერესოა განვიხილოთ სხვადასხვა მკვლევრის მიერ ჩამოყალიბებული პრინციპების თაობები. ინგლანდი და სხვები (2011, გვ. 555), დისნეის პრინციპების ხაზს სამ ნაწილად ყოფენ, ესენია,

1. ადრეული ფილმები, რომლებიც გადაიღეს 1937 წლიდან 1959 წლამდე, მათ მიეკუთვნება „ფიფქა და შვიდი ჯუჯა“ (1937); „კონკია“ (1950); „მძინარე მზეთუნახავი“ (1959);

2. შუა პერიოდის ფილმები, რომლებიცაა „პატარა ქალთევზა“ (1989); „მზეთუნახავი და ურჩხული“ (1991); „ალადინი“ (1992); „პოკაჰონტასი“ (1995); „მულანი“ (1998);

3. უახლესი ფილმები - „პრინცესა და ბაყაყი“ (2009).

სამი პერიოდის ანიმაციური ფილმები ასახავს ცვლილებებს, რომლებიც დისნეის პრინციპებმა განიცადეს დროთა განმავლობაში. თითოეული დისნეის ანიმაციური ფილმი ასახავს პრინციპს, როგორც ცენტრალურ მდებარეობითი სქესის პერსონაჟს, და პრინცს, მამრობითი სქესის პერსონაჟს, რომელიც რომანტიკულად არის დაკავშირებული პრინციპსთან.

მეორე მხრივ, დისნეის ანიმაციური ფილმების განვითარების ეტაპებს გენდერული როლების გამოვლინების თვალსაზრისით, განიხილავს კოლი რეილი (2016), რომლის ნაშრომში წარმოდგენილია 13 პრინციპის სახე და მათი განვითარების ეტაპები.

გამოყოფილია ოთხი თაობა:

1. ფიფქა და შვიდი ჯუჯა, კონკია, მძინარე მზეთუნახავი;
2. ქალთევზა, მზეთუნახავი და ურჩხული, ალადინი;
3. პოკაჰონტასი, მულანი, ტიანა;
4. რაპუნცელი, მამაცი, გაყინული.

ინგლანდი და სხვები აყალიბებენ სამ ჰიპოტეზას (2011, გვ. 557), პირველი ჰიპოტეზის მიხედვით, გენდერული თვალსაზრისით, პრინციპისა და პრინცის ქცევა ერთმანეთისაგან განსხვავებული უნდა იყოს. პრინციპს უნდა გამოეწინა ტრადიციულად უფრო ფემინური ქცევა, ხოლო პრინცს მასკულიური. მეორე ჰიპოტეზის მიხედვით, პრინცს უფრო მეტჯერ უნდა შეესრულებინა გადამრჩენლის როლი, ხოლო პრინციპს უფრო მეტჯერ გადაარჩენდნენ, ვიდრე პრინცს. ხოლო მესამე ჰიპოტეზის მიხედვით, დისნეის ანიმაციურ ფილმებში უნდა გამოვლენილიყო

ცვლილებები დროთა განმავლობაში, რაც გულისხმობს, რომ პერსონაჟების ქმედებები უფრო ევალუატარული გახდებოდა. კვლევის ფარგლებში სამივე ჰიპოთეზა მართლდება. დისნეის ანიმაციური ფილმები, რომლებიც გადაღებულ იქნა 1930-იან და 50-იან წლებში ასახავს გენდერის უფრო მეტად ტრადიციულ როლებს, ვიდრე ფილმები, გადაღებული 1980-იან წლებში და, ასევე, 2009 წელს გადაღებული ანიმაცია (2011, გვ. 567).

კოლი რეილი (2016, გვ. 53) გამოყოფს პრინცესების ჯგუფების სხვადასხვა მახასიათებლებს. პირველი თაობის პრინცესები წარმოადგენენ ევროპული წარმოშობის ახალგაზრდა გოგონებს, რომლებიც ასრულებენ პასიურ როლს და ელიან პრინცს, რომელიც იხსნის მათ განსაცდელისაგან. საინტერესოა, რომ აღნიშნულ ზღაპრებში პრინცესებს “უყვართ” პრინცი მანამ, სანამ მას გაიცნობენ. შესაბამისად, აღნიშნულ ანიმაციურ ფილმებში ქორწინებასა და სიყვარულს შორის კავშირი არ არსებობს.

კოლი რეილის (2016, გვ. 55) მიხედვით, მეოთხე თაობის პრინცესები დანარჩენი სამი თაობის პრინცესებისაგან სრულიად განსხვავდებიან. ისინი წარმოადგენენ ამბიციურ, თვითდაჯერებულ, დამოუკიდებელ პრინცესებს, რომელთაც სჯერათ საკუთარი ძალების და მათი ოცნებების ასრულებისათვის იღწვიან. მათში წარმოჩენილია ისეთი პიროვნული თვისებები, როგორც სასურველია ჰქონდეს ნებისმიერ ძლიერ ახალგაზრდას. ამ ახალგაზრდა ქალებს არ სჭირდებათ გადარჩენა, არამედ თავად გვევლინებიან სხვების მსხნელებად.

საბოლოო ჯამში, კოლი რეილი (2016, გვ. 60) აღნიშნავს, რომ დისნეის ანიმაციურ ფილმებში პოზიტიური ძვრები აღინიშნება. კომერციული თვალსაზრისით, დისნეის ბოლო სამი ანიმაციური ფილმი ყველაზე მომგებიანი აღმოჩნდა. აღნიშნული აქარწყლებს ყველა არგუმენტს, რომ მაყურებელს არ სურს იხილოს ეკრანებზე ძლიერი, დამოუკიდებელი ქალები.

ინგლანდისა და სხვების კვლევით (2011, გვ. 567) დასტურდება, რომ დისნეის პრინცესების ანამაციურ ფილმებში წარმოჩენილია როგორც გენდერული სტერეოტიპული, ასევე არასტერეოტიპული როლები. პრინცესებმა ფემინურობა შეინარჩუნეს დროთა განმავლობაში, თუმცა ტრადიციულად მასკულინური როლიც მოიხრეს. ისინი ასევე აღნიშნავენ, რომ ზემოთქმული ფილმების ყურება დიდ გავლენას ახდენს ბავშვების მიერ გენდერული როლების აღქმაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მედია დიდ როლს თამაშობს სოციალური ნორმებისა თუ გენდერული როლების წარმოჩენასა და ჩამოყალიბებაში. შესაბამისად, დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს იმ მესიჯებს, რომელთა არაპირდაპირი გაჟღერება ანიმაციური ფილმების მეშვეობით ხდება, რათა ბავშვებსა და მოზარდებში გენდერული როლების სწორი აღქმა ჩამოყალიბდეს.

## გენდერული სტერეოტიპების ენობრივი გამოხატვა

წინამდებარე კვლევაში განვიხილავ დისნეის ორ ანიმაციურ ფილმს, ესენია „კონკია“, რომელიც გადაღებულია 1950 წელს და „გაყინული“, რომელიც გადაღებულია 2013 წელს. კვლევაში გამოყენებულია თვისობრივი მეთოდი. გაანალიზებულია გენდერული სტერეოტიპები დისნეის ანიმაციურ ფილმებში, როგორ ვლინდება აღნიშნული ენობრივ დონეზე, რა განსხვავებები და ცვლილებები აღინიშნება დისნეის ძველ და ახალ ანიმაციურ ფილმში. რა პოზიტიური პროტაგონისტული ცვლილებები ვლინდება ერთ-ერთ უახლეს ფილმ, „გაყინულში“.

### კონკია

გენდერული სტერეოტიპების გამოვლინების თვალსაზრისით, საინტერესოა დისნეის 1950 წლის ანიმაცია „კონკია“. ანიმაციურ ფილმში საინტერესოა განვიხილოთ, კონკია; მისი დედინაცვალი; ნახევარდები, ანასტასია და დრიზელა; ასევე პრინცი და მეფე. როგორც თოთიბაძე (2020, გვ. 55) აღნიშნავს, „კონკია“ ერთ-ერთი ყველაზე გენდერულად მარკირებული ზღაპარია. მისივე თქმით (2020, გვ. 57), როგორც ზღაპრების ეკრანიზაციისა და მულტიპლიკაციური ფილმების ერთ-ერთ შემოქმედს, დისნეის უდიდესი როლი მიუძღვის გენდერული სტერეოტიპების დამკვიდრებაში. ის ამტკიცებს, რომ მისი ნაწარმოებები ბავშვებს უნერგავენ ტრადიციულ გენდერულ სტერეოტიპებს ქალისა და მამაკაცის საზოგადოებრივ როლებთან დაკავშირებით, ასევე არაჯანსაღ მოლოდინს ქალის სილამაზესთან მიმართებით.

აღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ანიმაციური ფილმი ავლენს პატრიარქალური სამყაროსათვის დამახასიათებელ სტერეოტიპებს. ანიმაციის მთავარი გმირი კონკიაა, რომელსაც მიუხედავად იმისა, რომ დედინაცვალმა ყოველგვარ ამაქვეყნიურ სიკეთეს ჩამოაშორა, ინარჩუნებს კეთილშობილებას. ის ფილმის განმავლობაში ავლენს მორჩილებას, თავდამბლობას და წარმოჩენილია, როგორც ზრდილობიანი ასული.

საინტერესოა, რომ კონკიას მთავარი ღირსება სილამაზე და კეთილშობილებაა. მთელი ფილმის განმავლობაში, კონკიას თითქმის არ აქვს არანაირი მნიშვნელოვანი დიალოგი თუ მონოლოგი. ჩვენ მას ვხედავთ მორჩილ პოზიციაში, ის არ ეპასუხება დედინაცვალს, მორჩილად ასრულებს მის ბრძანებებს. მისი როლი ანიმაციაში პასიურია. მისი ქმედებები მის ზრდილობაზე მიანიშნებს, თუმცა, როგორც სარა მილსი აღნიშნავს (2003, გვ. 224), გენდერი არ შეიძლება მივიჩნიოთ იმ ფაქტორად, რომელიც განსაზღვრავს სამეტყველო აქტის ინტერპრეტაციას. შესაბამისად, არ შეიძლება კონკიას ქმედებები ცალსახად ზრდილობიანად იქნეს მიჩნეული. კონკია ცხოვრობს დედინაცვალთან და ის იძულებულია შეასრულოს მისი მოთხოვნები და



დაემორჩილოს მას. მის დამოკიდებულებაში ნახევარ დების მიმართ ირონიას ვხედავთ, როდესაც ამბობს, *“Maybe I should interrupt the, uh...music lesson”*<sup>1</sup> (Jackson et al., 1950, 0:28:14). ანიმაციაში ვხედავთ, რომ დრიზელასა და ანასტასიას სიმღერა არ შეუძლიათ, ხოლო კონკია დამცინავად აღნიშნავს, რომ მუსიკის გაკვეთილს უნდა შეუშალოს ხელი.

ანიმაცია დაცლილია ზედსართავი სახელებისგან, კონკიას გარეგნულ შეფასებას ნაკლებად ვხვდებით, მხოლოდ ანიმაციის დასაწყისში აცხადებს მთხრობელი, რომ დედინაცვალის იყო *“bitterly jealous of Cinderella's charm and beauty”*<sup>2</sup> (Jackson et al., 1950, 0:02:35). ხოლო მისი ქალიშვილები აღწერილნი არიან, როგორც *“two awkward daughters”*<sup>3</sup> (Jackson et al., 1950, 0:02:39). დისნეი აღწერის შესაბამის პერსონაჟებს ხატავს ანიმაციაში. კონკია ასახულია, როგორც ლამაზი, კარგი აღნაგობის ახლგაზრდა ქალი, ხოლო დრიზელა და ანასტასია აღქმულნი არიან, როგორც შეუხედავები. უნდა აღინიშნოს, რომ პრინცის ყურადღება გამახვილებული მხოლოდ გარეგნობაზეა, ის არ ინტერესდება კონკიას ნახევარდებით, ხოლო, კონკია მის ყურადღებას მხოლოდ მისი სილამაზით იპყრობს. საინტერესოა, რომ მათ შორის არ შემდგარა არანაირი დიალოგი.

ანიმაციაში ასევე საინტერესოა პრინცის მამის სახე, რომელსაც სურს რომ მისმა შვილმა იქორწინოს. მეფე ფილმში გამოირჩევა უხეში საუბრით, ის ასევე ხშირად იყენებს განმაცალკევებელ შეკითხვებს. როგორც ლეიკოფი (1973, გვ. 55) აღნიშნავს, მსგავსი შეკითხვებს ქალები უფრო ხშირად იყენებენ, რითაც გამოხატავენ მერყევი ხასიათს, თუმცა აღნიშნულ ანიმაციაში მეფე არის ის პერსონაჟი, რომელიც ხშირად იყენებს განმაცალკევებელ შეკითხვებს,

*“Look, the boy's coming home today, isn't he?”*

*“Why, he's bound to show interest in one of them, isn't he? (the King grabs the Grand Duke's collar) Isn't he?!”*

*“It can't possibly fail. Can it?”*<sup>4</sup> (Jackson et al., 1950, 0:25:03)

აღნიშნული ფორმის გამოყენებით, მეფე გამოხატავს თავის აღმატებულ პოზიციას პერცოგზე, ცდილობს მის შეშინებას, უხეშად ესაუბრება ქვეშევრდომს. მართალია ლეიკოფი (1973, გვ. 53), ამტკიცებს, რომ აღნიშნული უფრო მეტად ქალის საუბრისთვის არის დამახასიათებელი, თუმცა წინამდებარე მაგალითი, რომელსაც

<sup>1</sup> „აღბათ ხელი უნდა შევუშალო ... მუსიკის გაკვეთილს“

<sup>2</sup> „კონკიას მომხიბვლელობისა და სილამაზის საშინლად შურდა“

<sup>3</sup> „ორი ტლანჭი ქალიშვილი“

<sup>4</sup> „ბიჭი დღეს სახლში ბრუნდება, არა? რატომ? არ შეუძლია ერთ-ერთის მიმართ მაინც გამოიჩინოს ინტერესი, არა? (მეფე წვდა პერცოგს საყელოში) არა? არ შეიძლება, რომ ეს საქმე ჩაიშალოს, არა?“

ვხვდებით „კონკიაში“, ჩემი აზრით, საპირისპიროს ამტკიცებს, რადგან აღნიშნულ ანიმაციაში, მხოლოდ მეფე, მამრობითი სქესის წარმომადგენელი იყენებს აღნიშნულ ფორმას, რომლის მეშვეობითაც გამოხატავს მუქარას, აგრესიას. მიუხედავად ამისა, მეფეს დადებითი პერსონაჟის როლი აქვს ანიმაციაში და მისი აგრესია და უხეშობა ნეგატიურ კონტექსტში არ არის აღქმული. უნდა აღინიშნოს, რომ დისნეის ანიმაციური ფილმების ჩემ მიერ მოძებულ კვლევებში მეფის სახის განხილვა თითქმის არ გვხვდება, რაც მიგვანიშნებს, რომ მისი ქმედებები ბუნებრივად აღიქმება და მისი აგრესია განსაკუთრებულ ყურადღებას არ იქცევს.

ასევე მეფე აცხადებს, *“I can't understand it! There must be at least one who'd make a suitable mother.”*<sup>5</sup> (Jackson et al., 1950, 0:49:20). პრინცის მამა აუღერებს სტერეოტიპულ აზრს, სადაც ჩანს, რომ ქალის, ცოლის მოვალეობა დედობაა, მისი მთავარი მიზანი კი შესაფერისი ქალის პოვნაა, რომელიც შეძლებს მას შვილიშველები „აჩუქოს“.

კონკიას მორჩილ და პასიურ პოზიციას ამყარებს, ასევე ანიმაციის დასასრული. პრინცი, რომელიც, თაქტობრივად, არ იცნობს კონკიას ითხოვს მის მოძებნას, რათა შეერთოს ცოლად. მეფის ბრძანებით, ვისაც დაკარგული ფეხსაცმელი მოერგება ის გახდება პრინცის მეუღლე.

ანიმაციის დასაწყისში ვიგებთ, რომ კონკიას აქვს ოცნება, რომელსაც ის არ აუღერებს, *“What kind of a dream? Uh-uh. Can't tell. Because if you tell a wish, it won't come true And after all... (sings) A dream is a wish your heart makes if you're fast asleep.”*<sup>6</sup> (Jackson et al., 1950, 0:04:09). ქვეტექსტიდან შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მისი ოცნება პრინცთან შეხვედრა და დაქორწინება იყო, რაც ასევე ამტკიცებს სტერეოტიპულ მოსაზრებას, რომ ქალების უპირველესი მიზანი და საზრუნავი დაოჯახებაა. საინტერესოა, რომ კონკია და პრინცი შეხვედრისას მღერაინ *“I'll touch every star in the heavens, then this is the miracle that I've been dreaming of”*<sup>7</sup> (Jackson et al., 1950, 0:53:44), რაც ასევე მიანიშნებს თუ რა იყო კონკიას ოცნება ანიმაციის დასაწყისში.

ანიმაციის ბოლოს, კონკია ირგებს ფეხსაცმელს, ემორჩილება მეფისა და პრინცის მოთხოვნას და მიჰყვება ცოლად პრინცს. ანიმაციას „ბედნიერი დასასრული“ აქვს. როგორც პარსონი (2022, გვ. 89) აღნიშნავს,

*კონკია, როგორც ქალი თავისი საჭიროებებითა და სურვილებით, თაქტობრივად, არც არსებობდა მისივე ზღაპრის ბოლოს, შესაბამისად ფეხსაცმელმა გაანთავისუფლა თუ არა ის ტყვეობიდან სადავოა. მიუხედავად*

<sup>5</sup> „არ მესმის! ერთი ადამიანი მაინც უნდა არსებობდეს, რომლისგანაც შესაფერისი დედა დადგება“

<sup>6</sup> „როგორი სიზმარია? მისი გამხელა არ შეიძლება, რადგან თუ გაამხელ ადარ ახდება ... სიზმარი ოცნებაა, რომელსაც შენი გული ჩაუთქვამს, თუ ღრმად გძინავს“

<sup>7</sup> „ყველა ვარსკვლავს შევეხები სამოთხეში, ეს ის სასწაულია, რომელზეც ვოცნებობდი“

იმისა, რომ ფეხსაცმლის დაკარგვამ, ხოლო შემდეგ მისი მორგების მოთხოვნამ განსაზღვრა მისი მომავალი, ის იყო პასიური ობიექტი, როდესაც პრინცმა მოითხოვა ის.

კონკია ანიმაციაში ერთი შეხედვით პროტაგონისტია, თუმცა რეალურად ის ფილმში მეორეხარისხოვან როლს ასრულებს. მართალია კონკიამ თავი დაიხსნა ბოროტი დედინაცვლის ტყვეობისგან, თითქოსდა განთავისუფლდა იმ ჯათისგან, რომლის განწევაც უნევდა, თუმცა ამჯერად ის პრინცისა და მეფის ტყვეობაში ინაცვლებს. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამჯერად მას მოუწევს დაემორჩილოს მეუღლისა და მამთილის კაპრიზებსა და ახირებებს. შესაბამისად, ბროლის ფეხსაცმელი არ შეიძლება აღიქმებოდეს, როგორც კონკიას გათავისუფლების სიმბოლო.

### გაყინული

დისნეის პრინცესების ხაზის განვითარების თვალსაზრისით, საინტერესოა განვიხილოთ ანიმაციური ფილმი „გაყინული“ (2013).

ანიმაციაში ვითარდება ორი პრინცესას სახე. ესენია, ელზა და ანა.

ანიმაციაში ელზა მშობლების გარდაცვალების შემდეგ ხდება დედოფალი და სამეფოს მმართველი. პოზიტურ განვითარებად შეგვიძლია მივიჩნიოთ აღნიშნული ფაქტი. დისნეის ძველი ანიმაციებისგან განსხვავებით ახალგაზრდა ქალი ხდება მმართველი, ასევე ის არ ელის პრინცს, რომელიც მას დაეხმარება, იხსნის განსაცდელისგან, გაადარჩენს. მიუხედავად ამისა, ელზას უნევს შენიღბოს საკუთარი იდენტობა, დამალოს და ჩაახშოს საკუთარი რეალური მე, და იყოს „კარგი“. ანიმაციაში ის ამბობს, *“Be the good girl you always have to be; Conceal, don't feel, put on a show; Make one wrong move, and everyone will know* (Buck & Lee, 2013, 0:15:49). ელზას ვალდებულება იმოქმედოს საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ.

განსხვავებულია და სხვაგვარად ვითარდება პრინცესა ანას სახე. ანიმაციის დასაწყისში, ვითარდება დისნეის ცნობილი ხაზი, მოლოდინი იმ ერთადერთისა, რომელსაც სამუდამოდ დაუკავშირებს პრინცესა ცხოვრებას, *“I can't wait to meet everyone. What if I meet **the one**? For the first time in forever — I could be noticed by someone. And I know it is totally crazy — To dream I'd find romance. But for the first time in forever — At least I've got a chance!”*<sup>8</sup> (Buck & Lee, 2013, 0:14:34). ფილმის დასაწყისში ანა მართლაც ხვდება პრინც ჰანსს, და ერთი დანახვით უყვარდება. საინტერესოა, ელზას სიტყვები ანიმაციაში, როდესაც ის იყენებს ღირეფტიულ მეტყველების აქტს და

<sup>8</sup> „ერთი სული მაქვს როდის შევხვდები ყველას. იქნებ და იმ ერთადერთს შევხვდე? პირველად დიდი ხნის შემდეგ - შეიძლება ვინმემ შემაძნელოს. ვიცი რომ სიგიჟეა - ვიოცნებო, რომ ვიპოვო სიყვარული. მაგრამ პირველად დიდი ხნის შემდეგ - შანსი მაინც მაქვს“

უკრძალავს ანას იმ კაცზე ქორწინებას, რომელიც პირველად ნახა და არც იცნობს, *“ELSA: Fine. You can't marry a man you just met (...) You asked for my blessing, but my answer is 'No'.”*<sup>9</sup> (Buck & Lee, 2013, 0:26:37). განსხვავებით დისნეის ძველი ანიმაციური ფილმებისა, როდესაც პროტაგონისტი ქალი გაცნობისთანავე მიჰყვებოდა ცოლად პრინცს, ამ შემთხვევაში ვხედავთ ელზას რჩევას, რომ არ შეიძლება დაქორწინდე ადამიანზე, რომელსაც ჯერ არც კი იცნობ. საინტერესოა, რომ ჰანსი მართლაც არ აღმოჩნდება კეთილსინდისერი და რეალურად მას ტახტის ხელში ჩაგდება ამოძრავებდა და არა სიყვარული, რაც ზემოთნარმოთქმულ მოსაზრებას ამყარებს. საინტერესოა ასევე ჰანსისა და კრისტოფის სახეთა განსხვავება. პრინცი ჰანსი გვესახება, როგორც მანკიერი ადამიანი, მეორე მხრივ კი ვხედავთ კრისტოფს, რომელსაც მიუხედავად ანას სიყვარულისა პრინცესა მიჰყავს ჰანსონ, ოლაფი კი გვასწავლის, *“Love is putting someone else's needs before yours. Like, you know, how Kristoff brought you back here to Hans and left you forever.”*<sup>10</sup> (Buck & Lee, 2013, 1:20:58).

საინტერესოდ ვითარდება პრინცესა ანას პერსონაჟი, რომელიც გვევლინება ძლიერ, დამოუკიდებელ ქალად, რომელიც მზად არის მართო ნავიდეს თავისი დის მოსაძებნად.

ელზასთან მისვლაში ანას კრისტოფი ეხმარება, რა დროსაც ის იყენებს დირექტიულ მეტყველებების აქტს და ავლენს მისი ხასიათის სიძლიერეს, *“ANNA: Take me up the North Mountain. Please. ... Look, I know how to stop this winter. KRISTOFF: We leave at dawn. And you forgot the carrots for Sven. ... Oh! ANNA: Oops, sorry. Sorry. I'm sorry. I didn't—Ahem! We leave now. Right now.”*<sup>11</sup> (Buck & Lee, 2013, 0:39:42). ის კრისტოფს აძლევს ბრძანებას, ავალდებულებს გაჰყვეს. საინტერესოა, რომ მათი მოგზაურობისას, როდესაც ისინი ხიფათს ეყრებიან, ანა გადაარჩენს კრისტოფს და არა პირიქით, რაც ასევე განსხვავებს აღნიშნულ ანიმაციას, დისნეის სხვა ანიმაციური ფილმებისგან, სადაც კაცი ასრულებს გმირის როლს, რომელმაც უნდა იხსნას პრინცესა განსაცდელისგან.

პრინცესა ანა ავლენს ძლიერი პროტაგონისტი ქალის ხასიათს, მაშინ როდესაც ის დის გადასარჩენად სწირავს თავს და წინ აღუდგება ჰანსს, ხოლო ელზას სიძლიერე

<sup>9</sup> ელზა: „კარგი. არ შეიძლება დაქორწინდე კაცზე, რომელიც ეს-ესაა გაიცანი. (...) თქვენ ჩემგან დალოცვა ითხოვეთ, ჩემი პასუხი კი არის 'არა'.“

<sup>10</sup> „სიყვარული, ეს არის გადადო უკან შენი საჭიროებები სხვისთვის. როგორც, კრისტოფმა დაგაბრუნა აქ, ჰანსთან და დაგტოვა სამუდამოდ“

<sup>11</sup> ანა: „ამიყვანეთ ჩრდილოეთის მთაზე. გთხოვთ ... ვიცი როგორ შევაჩერო ზამთარი.“ კრისტოფი: „გამთენიისას წავალთ. და სვენისთვის სტაფილო დაგავიწყდა... ბოდიში, ბოდიში. ბოდიში. მე არ ... ახლავე მივდივართ. ახლავე.“

ჩანს მის გაცემულ სიტბოსა და უანგარო სიყვარულში, რისი საშუალებითაც ის გადაარჩენს პრინცესა ანას.

მიუხედავად იმისა, რომ ანიმაციაში ვხედავთ პოზიტიურ ცვლილებებს, მასში ისევ არის შენარჩუნებული სტერეოტიპული მოსაზრებები. მაგალითისთვის განვიხილოთ შემდეგი წინადადება *“IRISHMAN: Oh, my sore eyes can't wait to see the queen and the princess. I bet they're absolutely lovely. SPANISH DIGNITARY: I bet they are beautiful.”*<sup>12</sup> (Buck & Lee, 2013, 0:12:39). აღნიშნული პასაჟი წარმოგვიჩენს სტერეოტიპულ აზრს, რომ ქალი, განსაკუთრებით კი დედოფალი და პრინცესა აუცილებლად ლამაზი უნდა იყოს. ანიმაციაში ასევე სტერეოტიპულია ელზასა და ანას აღნაგობა, რომელთაც უჩვეულოდ წვრილი წელი აქვთ, რაც სხეულის არასწორ აღქმას უწყობს ხელს. მიუხედავად აღნიშნულისა, ანა და ელზა წარმოდგენილნი არიან როგორც ძლიერი, დამოუკიდებელი ქალები, რომელთაც შეუძლიათ საკუთარი ძალებითა და გადაწყვეტილებებით წარმართონ საკუთარი ცხოვრება.

## დასკვნა

აღნიშნული დისნეის ანიმაციების კვლევამ ცხადყო, რომ დისნეის ძველ ანიმაციურ ფილმებში, როგორცაა „კონკია“ ქალი პასიურ როლს ასრულებდა. მისი პერსონაჟი ანიმაციის განმავლობაში ვერ ვითარდება. ფილმში კონკიას არ აქვს არანაირი მნიშვნელოვანი დიალოგი თუ მონოლოგი. ის მხოლოდ დედინაცვლის ბრძანებებს ასრულებს და ექვემდებარება მას. საინტერესოა, რომ კონკია ანიმაციის ბოლოს თითქოსდა თავისუფლდება ბოროტი დედინაცვლის ტყვეობისგან, თუმცა ის ამჯერად პრინცისა და მეფის ბრძანებას ასრულებს და მიჰყვება ცოლად მას. ფილმში აქტუალურია ერთი ნახვით შეყვარება და სრულიად უცხო მამაკაცზე ქორწინება, რომელიც „ბედნიერ დასასრულად“ არის მიჩნეული. ანიმაცია არ გამოირჩევა ზედსართავი სახელებისა თუ სხვა მეტყველების ნაწილების გამოყენებით. ანიმაციაში საინტერესოა მეფის სახე, რომლის აგრესია და უხეშობა უარყოფით კონტექსტში არ წარმოჩინდება. რაც შეეხება დისნეის ანიმაციურ ფილმს „გაყინული“, მასში ვხვდებით პროტაგონისტულ პოზიტიურ ცვლილებებს. ელზა და ანა გვესახება, როგორც ორი დამოუკიდებელი ქალი, რომლებიც თავად იღებენ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. საინტერესოა, რომ ფილმში დირექტიულ მეტყველების აქტს, რომელიც ბრძანებით ფორმას გამოხატავს, მხოლოდ ელზა და ანა იყენებენ. ანიმაციაში ასევე უარყოფით კონტექსტში არის წარმოჩენილი ერთი ნახვით

<sup>12</sup> ირლანდიელი: „ერთი სული მაქვს როდის ვიხილავთ დედოფალს და პრინცესას, დარწმუნებული ვარ მშვენიერები არიან.“ ესპანელი დიდებული: „დარწმუნებული ვარ ლამაზები არიან.“

სრულიად უცხო მამაკაცის შეყვარება და მასზე დაოჯახება, რაც დისნეის ძველ ანიმაციურ ფილმებში პოზიტიურ გადაწყვეტილებად მიიჩნეოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ დისნეის ანიმაციურმა ფილმებმა დროთა განმავლობაში საგრძნობი ცვლილებები განიცადა. მიუხედავად იმისა, რომ კვლავ ვხვდებით ზოგიერთ სტერეოტიპულ მოსაზრებას, ცვლილებები საგრძნობი და პოზიტიურია.

სამომავლო კვლევისათვის შესაძლებელია ჩატარდეს გამოკითხვა და დადგინდეს თუ როგორ აღიქვამენ სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები დისნეის ანიმაციურ ფილმებს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Basow, S. A. (1992). *Gender Stereotypes and Roles* (3rd ed., pp. 1-9, 182-184). Brooks/Cole Publishing Company.
2. Buck, C., & Lee, J. (Directors). (2013). *Frozen* [Film]. Walt Disney Pictures, Walt Disney Animation Studios.
3. England, D. E., Descartes, L., & Collier-Meek, M. A. (2011). Gender Role Portrayal and the Disney Princesses. *Springer*, 555-567. <https://doi.org/10.1007/s11199-011-9930-7>
4. Golden, J. C., & Jacoby, J. W. (2013). Playing Princess: Preschool Girls' Interpretations of Gender Stereotypes in Disney Princess Media. *Springer*. <https://doi.org/10.1007/s11199-017-0773-8>
5. Holmes, J. (1995). *Women, Men, and Politeness* (pp. 1-8). Longman Group UK Limited.
6. Jackson, W., Luske, H., & Geronimi, C. (Directors). (1950). *Cinderella* [Film]. Walt Disney Productions.
7. Lakoff, R. (1973). *Language and Woman's Place*. New York.
8. Leech, G. (1983). *Principles of Pragmatics* (pp. 7-19). Longman.
9. Mia Adessa Towbin, Shelley A. Haddock, Toni Schindler Zimmerman, Lori K. Lund & Litsa Renee Tanner (2004): *Images of Gender, Race, Age, and Sexual Orientation in Disney Feature-Length Animated Films*, *Journal of Feminist Family Therapy*, 15:4, 19-44 [http://dx.doi.org/10.1300/J086v15n04\\_02](http://dx.doi.org/10.1300/J086v15n04_02)
10. Mills, S. (2003). *Gender and Politeness* (pp. 202-247). Cambridge.
11. PARSONS, L. T. (2021). Cinderella's Transformation: From Patriarchal to 21st Century Expressions of Femininity. *OHIO STATE UNIVERSITY, MARION*, 5(1), 84-107.
12. REILLY, C. (2016). CHAPTER FOUR: An Encouraging Evolution Among the Disney Princesses? A Critical Feminist Analysis. *Counterpoints*, 477, 51-63. <http://www.jstor.org/stable/45157186>
13. Yule, G. (1996). *Pragmatics* (pp. 1-8). Oxford University Press.
14. ღონაძე ნ. კვიციანი თ. (2006). *გენდერი - სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი*. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. [http://css.ge/wp-content/uploads/2019/07/gender\\_soc\\_pol.pdf](http://css.ge/wp-content/uploads/2019/07/gender_soc_pol.pdf)

15. თოთიბაძე ს. (2020). *გენდერული სტერეოტიპების ენობრივი გამოხატულება ევროპულ და ქართულ ზღაპრებში*. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

**ავტორის შესახებ:**

სალომე ზამბახიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხი, დოქტორანტურის პირველი კურსის სტუდენტი. [zambakhidzesalome@gmail.com](mailto:zambakhidzesalome@gmail.com)

**About the author:**

Salome Zambakhidze, Bachelor's and Master's degree in English Philology from the Faculty of Humanities at Ivane Javakhishvili Tbilisi State University, first-year doctoral student. [zambakhidzesalome@gmail.com](mailto:zambakhidzesalome@gmail.com)

**სამადლობელი:**

მინდა მადლობა გადავუხადო პროფესორ სოფიო თოთიბაძეს, რომელმაც გამიწია ხელმძღვანელობა სტატიის მომზადებისას.

**Acknowledgments:**

I would like to express my gratitude to Professor Sophio Totibadze, who supervised me in the preparation of this article.